მემორანდუმი №2608249

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს შორის თანამშრომლობის ზოგადი წესების შესახებ.

ქ. თბილისი 18 10 2016 წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო), საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (შემდგომში – შინაგან საქმეთა სამინისტრო), საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (შემდგომში – სამსახური), წარმოდგენილი შესაბამისი უფლებამოსილი წარმომადგენლის სახით და შემდგომში ერთობლივად წოდებულნი, როგორც მხარეები,

ხელმძღვანელობენ „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების, „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის

31 დეკემბრის №758 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამ დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტის, „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ამავე დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „ბ.დ“ ქვეპუნქტებისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის №190/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი

მემორანდუმის მიზანია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ფორმირებულ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დაცული ინფორმაციის გადამოწმებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიცირების გზით ქვეყანაში მოქმედი სოციალური დახმარების სისტემის სრულყოფა და ეფექტიანობის გაზრდა, ასევე თანამედროვე გამოცდილების დანერგვა.

მუხლი 2. მემორანდუმის საგანი

2.1. მემორანდუმის საგანია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მაძიებელი და/ან რეგისტრირებული ოჯახების შემადგენლობაში არსებული (შემავალი) ფიზიკური პირების შესახებ ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში დაცული საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის (გასვლა და/ან შემოსვლა) და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (ავტომობილი, ტრაქტორი, კომბაინი) რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციის/მონაცემების მიწოდება (წვდომა) სააგენტოსათვის, რეალურ დროში, სამსახურისა და სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის (შემდგომში – ინფრასტრუქტურა) მეშვეობით.

2.2. ფიზიკური პირის პირადი ნომრით და თარიღების დიაპაზონით მოთხოვნის გაგზავნისას, მონაცემთა მასივის სახით სააგენტოს, სამინისტროსა და სამსახურის ინფრასტრუქტურის მეშვეობით, მიეწოდება ფიზიკური პირის შესახებ აღნიშნული თარიღების დიაპაზონში ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში არსებული შემდეგი მონაცემები:

2.2.1. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის შემთხვევაში:

2.2.1.1. პიროვნების პირადი ნომერი;

2.2.1.2. საზღვრის გადაკვეთის (გასვლა, შესვლა) თარიღები.

2.2.2. მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (ავტომობილი, ტრაქტორი, კომბაინი) რეგისტრაციის შემთხვევაში:

2.2.2.1. პიროვნების პირადი ნომერი;

2.2.2.2. რეგისტრაციის თარიღი;

2.2.2.3. გამოშვების თარიღი, მარკა და სახელმწიფო ნომერი.

2.3. ინფორმაციის გამოთხოვისას სააგენტოს პასუხის სახით ასევე შეიძლება გაეგზავნოს შეტყობინება ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში (ელექტრონული ბაზა) მოთხოვნილ პირად ნომერზე მონაცემების ვერ მოძიების შესახებ.

მუხლი 3. კავშირის უზრუნველყოფა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის წესი

3.1. სააგენტოსათვის ინფორმაციის/მონაცემების მიწოდება ხორციელდება სამინისტროსა და სამსახურის ინფრასტრუქტურის მეშვეობით.

3.2. სამინისტროს ინფრასტრუქტურის მეშვეობით სააგენტოსათვის ინფორმაციის მისაწოდებლად სამინისტროსა და სამსახურს შორის კავშირი დამყარდება VPN ტექნოლოგიით აწყობილი ქსელის საშუალებით, რომელიც შეიქმნება ინტერნეტსერვისპროვაიდერის საკომუნიკაციო არხების ბაზაზე. ქსელის შექმნისას გამოყენებული ქსელური მოწყობილობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

3.2.1. მარშრუტიზაციისა და IPSec Tunnel ტექნოლოგიის მხარდაჭერა;

3.2.2. შიფრაციის პროტოკოლის 3DES მხარდაჭერა;

3.2.3. ჰეშირების პროტოკოლის SHA მხარდაჭერა.

3.3. ინფრასტრუქტურაში სააგენტოს ჩართვას, ინფრასტრუქტურის გამართულ მუშაობას და შეუფერხებლად გამოყენების ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს სამინისტრო.

3.4. წინამდებარე მემორანდუმის ამოქმედებისთანავე, მაგრამ არა უგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, სამინისტროსა და სააგენტოს წარმომადგენლები ერთობლივად უზრუნველყოფენ VPN ტექნოლოგიით ქსელის კონფიგურირებას (გამართვა).

3.5. ამავე მუხლის 3.2. პუნქტით გათვალისწინებული დახურული კერძო ქსელით კავშირი მყარდება სააგენტოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის, სამინისტროსა და სამსახურის ინფრასტრუქტურის მეშვეობით.

მუხლი 4. ინფორმაციის გამოთხოვისა და მიწოდების აღრიცხვა

4.1. სააგენტო ვალდებულია, აღრიცხოს გამოთხოვილი ინფორმაციის საერთო რაოდენობა, თითოეული მოთხოვნის გაგზავნის დრო და შინაარსი, ასევე უზრუნველყოს ყოველი გაგზავნილი მოთხოვნის ავტორის (მომხმარებელი) იდენტიფიცირება და აღრიცხვა.

4.2. ამ მუხლის - 4.1. პუნქტის შესაბამისად აღრიცხული ინფორმაცია უნდა ინახებოდეს არანაკლებ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

5.1. წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტრო კისრულობს ვალდებულებას:

5.1.1. სააგენტოს მიერ მემორანდუმის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის/მონაცემების გამოთხოვის შემთხვევაში უზრუნველყოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში არსებული ინფორმაციის სააგენტოსთვის მიწოდება სამსახურისა და სამინისტროს ინფრასტრუქტურის მეშვეობით;

5.1.2. უზრუნველყოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში არსებული შესაბამისი მონაცემების სააგენტოსათვის უცვლელად მიწოდება სამსახურისა და სამინისტროს ინფრასტრუქტურის მეშვეობით;

5.1.3. მაქსიმალურად შეუწყოს ხელი და არ დაუშვას რაიმე დაბრკოლების შექმნა სამსახურისა და სამინისტროს ინფრასტრუქტურის მეშვეობით სააგენტოსათვის მონაცემების მიწოდების დროს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა;

5.1.4. საჭიროების შემთხვევაში გამოყოს სააგენტოსთან საკონტაქტო პირი;

5.1.5. შეწყვიტოს მონაცემების გაცემა, თუ მისთვის ცნობილი გახდა სამინისტროს და/ან სააგენტოს მიერ მემორანდუმის მე-2 მუხლით გათვალისწინებული მონაცემების არამიზნობრივად გამოყენების ფაქტი;

5.1.6. დროულად განიხილოს სააგენტოს მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც უკავშირდება წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებულ ურთიერთობებს.

5.2. შინაგან საქმეთა სამინისტრო უფლებამოსილია:

5.2.1. შეაჩეროს სამსახურისა და სამინისტროს ინფრასტრუქტურის მეშვეობით მონაცემების მიწოდება სააგენტოსათვის, თუ ეს განპირობებულია მისი ტექნიკური ინფრასტრუქტურის ცვლილების და/ან არსებული ხარვეზის გასასწორებლად, რის თაობაზეც აცნობებს სააგენტოს.

5.3. წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში სამსახური კისრულობს ვალდებულებას:

5.3.1. მემორანდუმის 3.2. პუნქტით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად განახორციელოს საჭირო ღონისძიებები;

5.3.2. უზრუნველყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ინფრასტრუქტურით სარგებლობა ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის/მონაცემების, სამინისტროს ინფრასტრუქტურის მეშვეობით, სააგენტოსათვის მიწოდების მიზნით;

5.3.3. უზრუნველყოს ინფრასტრუქტურის მდგრადი და გამართული ფუნქციონირება, მისი უსაფრთხოება და მემორანდუმის მხარეთა მიერ ინფრასტრუქტურის გამოყენებისათვის აუცილებელი ტექნიკური მხარდაჭერა;

5.3.4. უზრუნველყოს მემორანდუმით გათვალისწინებული უწყვეტი კავშირის არსებობა მემორანდუმის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის/მონაცემის დროულად მიწოდების მიზნით;

5.3.5. ინფრასტრუქტურის ტექნიკური ცვლილების და/ან არსებული ხარვეზის გასწორების დროს ამ მემორანდუმით გათვალისწინებული მომსახურების შეფერხების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს შინაგან საქმეთა სამინისტროს;

5.3.6. არ დაუშვას ელექტრონულ მონაცემთა ბაზებიდან მისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის რაიმე სახით დამუშავება და/ან მესამე პირთა დაშვება (წვდომა), მიღებული ინფორმაციის/მონაცემების მესამე პირებისათვის რაიმე სახით გადაცემა ან/და სხვაგვარი ხელმისაწვდომობა (გარდა კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა) როგორც მემორანდუმის მოქმედების ვადის განმავლობაში, ასევე ვადის გასვლის შემდგომ. აღნიშნული არ ვრცელდება მიღებული ინფორმაციის/მონაცემების სამინისტროს ინფრასტრუქტურის მეშვეობით სააგენტოსათვის გადაცემაზე;

5.3.7. უზრუნველყოს მემორანდუმის ფარგლებში მის მიერ მიღებული და გაგზავნილი ინფორმაციის კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება.

5.4. სამსახური უფლებამოსილია:

5.4.1. შეაჩეროს მონაცემების მიწოდება თუ ეს განპირობებულია მისი ტექნიკური ინფრასტრუქტურის ცვლილების და/ან არსებული ხარვეზის გასასწორებლად, რის თაობაზეც აცნობებს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

5.5. წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში სამინისტრო კისრულობს ვალდებულებას:

5.5.1. უზრუნველყოს სააგენტოს მიერ ინფრასტრუქტურით სარგებლობა ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის/მონაცემების სააგენტოსათვის მიწოდების მიზნით;

5.5.2. უზრუნველყოს ინფრასტრუქტურის მდგრადი და გამართული ფუნქციონირება, უსაფრთხოება და მემორანდუმის მხარეთა მიერ ინფრასტრუქტურის გამოყენებისათვის აუცილებელი ტექნიკური მხარდაჭერა;

5.5.3. უზრუნველყოს მემორანდუმით გათვალისწინებული უწყვეტი კავშირის არსებობა მემორანდუმის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის/მონაცემის საკუთარი ინფრასტრუქტურის მეშვეობით სააგენტოსათვის დროულად მიწოდების მიზნით;

5.5.4. ინფრასტრუქტურის ტექნიკური ცვლილების და/ან არსებული ხარვეზის გასწორების დროს, ამ მემორანდუმით გათვალისწინებული მომსახურების შეფერხების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;

5.5.5. არ დაუშვას ელექტრონულ მონაცემთა ბაზებიდან მისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის რაიმე სახით დამუშავება და/ან მესამე პირთა დაშვება (წვდომა), მიღებული ინფორმაციის/მონაცემების მესამე პირებისათვის რაიმე სახით გადაცემა ან/და სხვაგვარი ხელმისაწვდომობა (გარდა კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა) როგორც მემორანდუმის მოქმედების ვადის განმავლობაში, ასევე ვადის გასვლის შემდგომ. აღნიშნული არ ვრცელდება მიღებული ინფორმაციის/მონაცემების საკუთარი ინფრასტრუქტურის მეშვეობით სააგენტოსათვის გადაცემაზე;

5.5.6. უზრუნველყოს მემორანდუმის ფარგლებში მის მიერ მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება.

5.6. წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში სააგენტო კისრულობს

ვალდებულებას:

5.6.1. უზრუნველყოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზებიდან სამსახურის ინსფრასტრუქტურის საშუალებით მემორანდუმის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის/მონაცემების გამოთხოვა ამ მემორანდუმით გათვალისწინებული წესით, მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების მიზნით;

5.6.2. მიღებულ ინფორმაციაზე წვდომა მიანიჭოს მხოლოდ უფლებამოსილ თანამშრომლებს, სამსახურებრივი საჭიროების პრინციპის გათვალისწინებით;

5.6.3. არ დაუშვას ელექტრონულ მონაცემთა ბაზებიდან მიღებულ, მემორანდუმის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციაზე/მონაცემებზე მესამე პირთა დაშვება (წვდომა), მესამე პირებისათვის გადაცემა, გადაცემის მიზნით დამუშავება/სისტემატიზაცია ან/და სხვაგვარი ხელმისაწვდომობა (გარდა კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა) როგორც მემორანდუმის მოქმედების ვადის განმავლობაში, ასევე ვადის გასვლის შემდგომ;

5.6.4. გამოიყენოს მოწოდებული ინფორმაცია/მონაცემები საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით;

5.6.5. საჭიროების შემთხვევაში გამოყოს სამინისტროსთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სამსახურთან საკონტაქტო პირი;

5.6.6. დროულად განიხილოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სამსახურის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც უკავშირდება წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებულ ურთიერთობებს;

5.6.7. შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სამსახურს ამ მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაში.

5.6.8. ინფორმაციის/მონაცემი შენახულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, წაიშალოს ან შენახულ უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით.

მუხლი 6. მხარეთა კომუნიკაციის პირობები

მხარეები ერთმანეთის ინფორმირებას ახორციელებენ უფლებამოსილი პირის ელექტრონული ფოსტის, სატელეფონო ან/და წერილობითი შეტყობინების გამოყენებით.

მუხლი 7. დავის გადაწყვეტის წესი

7.1. მხარეები მიმართავენ ყველა ღონეს, რათა წინამდებარე მემორანდუმის პირობების შესრულებისას წარმოქმნილი ყველა სადავო საკითხი გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით.

7.2. მხარეთა პრეტენზიები/შენიშვნები განიხილება მათი წერილობითი ფორმით

მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 8. ფორსმაჟორი

8.1. მხარეები პასუხს არ აგებენ თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ აღნიშნული გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე სამხედრო მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ მემორანდუმის შესრულებაზე. მემორანდუმის შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორსმაჟორის გამომწვევ გარემოებათა დასრულებამდე.

8.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება, 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში აცნობებს მემორანდუმის სხვა მონაწილეებს ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზებს და მათი შესრულების მოსალოდნელ თარიღს, რის შემდეგაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეიძლება გადაიდოს ფორსმაჟორის გაგრძელების ვადით ან მემორანდუმი შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 9. მემორანდუმის მოქმედების ვადა, ცვლილებებისა და შეწყვეტის პირობები

9.1. მემორანდუმი ძალაშია მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

9.2. წინამდებარე მემორანდუმის ნებისმიერი პირობის შეცვლა დასაშვებია ნებისმიერ დროს, მხარეთა ერთობლივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

9.3. თითოეული მხარე უფლებამოსილია, ცალმხრივად შეწყვიტოს მემორანდუმის მოქმედება, წინასწარ, შეწყვეტის თარიღამდე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე სხვა მხარეებისათვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

მუხლი 10. სხვა პირობები

10.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

10.2. მხარეები ვალდებული არიან, დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია. კონფიდენციალურობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

10.3. მემორანდუმის მხარეებს არ აქვთ უფლება, გააკეთონ განცხადება სხვა მხარის მიერ მემორანდუმის ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების ან სხვა მსგავსი საკითხების შესახებ, შესაბამისი ფაქტების დადასტურების გარეშე.

10.4. წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში მხარეთა შორის შეტყობინების გაგზავნა შესაძლებელია როგორც წერილით, ასევე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

10.5. მემორანდუმის რომელიმე პუნქტის/ქვეპუნქტის გაუქმება/ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად მემორანდუმის გაუქმებას/ბათილობას, თუ იგი გაფორმდებოდა

ასეთი გაუქმებული/ბათილი პუნქტის/ქვეპუნქტის გარეშეც.

10.6. წინამდებარე მემორანდუმი გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. მემორანდუმით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.7. მემორანდუმი შედგენილია 8 (რვა) ფურცლად, 4 (ოთხი) ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგანაც თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. მემორანდუმის თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

მუხლი 11. მხარეთა რეკვიზიტები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
ქ.თბილისი, გენერალ გ. გულუას ქ.№10
საიდენტიფიკაციო კოდი – 204383176
მინისტრის მოადგილე დავით ვარდიაშვილი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
ქ.თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. №144
საიდენტიფიკაციო კოდი – 211333957
მინისტრის მოადგილე ზაზა სოფრომაძე

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო ქ.თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ.№144
საიდენტიფიკაციო კოდი – 202178927
დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი კობა სონღულაშვილი

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური
ქ.თბილისი, 9 აპრილის ქუჩა №4;
საიდენტიფიკაციო კოდი – 204584912
ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის დირექტორი ავთანდილ თაბუნიძე